საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 145 2024 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმების (თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტი)“ ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმების (თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტი)“ ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

ეკატერინე გუნცაძეს - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს;

ანდრია ბასილაიას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს;

დავით ფაჩულიას - შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს დირექტორს.

ირაკლი კობახიძე